ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5998002

ნომერი: AR1907123

თარიღი : 17.06.2022

გაცემის თარიღი : 22.06.2022

გაცნობის თარიღი : 22.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, N 7გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 ივნისის №AR1907123 განცხადებით მომართა შალვა ლეკიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 25

მაისის №5954922 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.032), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საზაფხულო ფართობად 874.3 კვ.მ-ის ნაცვლად 797.9 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 8910.7 კვ.მ-ის ნაცვლად 8834.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: №882021871912, მომზადების თარიღი: 12/10/2021 წ.) თანახმად, №01.13.04.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „არქიპლიუს“ (ს/ნ: 402050588). ამასთან, სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს „არქიპლიუს“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21126577; მომზადების თარიღი: 16/12/2021 წ.) შპს „არქიპლიუს“-ის (ს/ნ: 402050588) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი ხურციძე. სამსახურში წარმოდგენილია გიორგი ხურციძის მიერ შალვა ლეკიაშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 220387599, რეგისტრაციის თარიღი: 08.04.2022 წ.)
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 797.9 კვ.მ., საერთო ფართობად: 8834.3 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954922 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.